ცვლილებები ძალაშია 07.10.2019-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ დამატებით სახელშეკრულებო პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. <u>დამატებითი სახელშეკრულებო პირობებს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მუხლი 31“:</u>

მუხლი 31. ხელშეკრულება თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ

1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სოლიდარული თავდები უარს აცხადებს მის უფლებაზე:

1.1. წამოაყენოს მოვალის კუთვნილი შესაგებელი კრედიტორის მიმართ;

1.2. უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა მოვალეს უფლება სადავო გახადოს საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებებს;

2. თავდები აცხადებს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და მისი მხრიდან სოლიდარული თავდებობის აღება არ გამომდინარეობს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ან ძირითადი მოვალის მხრიდან მომდინარე ნებისმიერი სახის დავალებიდან. ასევე ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ აღმოჩნდება/დამტკიცდება მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საწინააღმდეგო გარემოებები, იგი უარს აცხადებს მოითხოვოს თავდებობისგან გათავისუფლება მიუხედავად იმისა არსებითად გაუარესდა თუ არა ძირითადი მოვალის/მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა; ან მოვალისგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო; ან გააჩნია თუ არა კრედიტორს საშუალება მოსთხოვოს მოვალეს ან მის მემკვიდრეს/სამართალმემკვიდრეს საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება მსესხებლის ქმედუუნარობის ან/და უფლებაუნარიანობის დაკარგვის გამო, ან მსესხებლის გარდაცვალების/გაკოტრების/ლიკვიდაციის გამო; ან აქვს თუ არა კრედიტორს თავდების წინააღმდეგ შესრულებაზე სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტი.

3. სოლიდარული თავდები ადასტურებს, რომ დეტალურად არის ინფორმირებული საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ, იცნობს ზემოხსენებული ხელშეკრულებ(ებ)ის ტექსტებს და სრულად აცნობიერებს ვალდებულებებს, რომლებსაც ის კისრულობს ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ძირითადი მოვალის/მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე სოლიდარული თავდების ინფორმირებას მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) საშუალებით.

5. ვინაიდან სოლიდარული თავდები თავდებობის ხელშეკრულებით კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მასზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტით მსესხებლის უფლებათა და ვალდებულებათა მარეგულირებელი ზოგადი ნორმები.